ჩვენი საუკუნე

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 14 (246) გამოცემის მე-14 წელი

1970 წლის 24 ივლისი




„ასეთი რამ არასოდეს გვინახავს“ — წერდა გაზეთი „ოკლენდ სტარი“. და მართლაც, ახალზელანდიელებს ასეთი რამ არასოდეს უნახავთ და, რაც მთავარია, ისინი ამგვარად არასოდეს მოქცეულან. ბუნებით თავშეკავებულნი, ამჯერად თავიანთ გრძნობებს სრულ თავისუფლებას აძლევდნენ. ისინი ხელის გულის ატკივებამდე უკრავდნენ ტაშს, აბრაწუნებდნენ ფეხებს და თან მთელი ხმით გაჰყვიროდნენ — კიდევ! კიდევ! ასე იყო ყველა ქალაქში, ასე იყო ყველა კონცერტზე. კრიტიკოსები ქართველ მოცეკვავეთა გამოსვლას მხოლოდ და მხოლოდ სიტყვა „ფანტასტიკურით“ ახასიათებდნენ.

ლეონიდ პონომარიოვი,

საკავშირო კორესპონდენტი ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

მასალა ქართველ მოცეკვავეთა ახალ საგასტროლო ტრიუმფზე იხილეთ მე-3 გვერდზე.



თაკარა მზე დასცქერის საქართველოს ცას. ცხელა, პაპანაქებაა. ადამიანები მთებისა და ზღვის სანაპიროსაკენ მიეშურებიან. რეპორტაჟი საქართველოს ერთ-ერთი თვალწარმტაცი კურორტი გიჭვითიდან იხილეთ მე-4 გვერდზე.

საქართველოს სსრ ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღნიშვნის შესახებ

ჩვენი რესპუბლიკა ეგებება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს. ქართველ ხალხთან ერთად ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავს მთელი საბჭოთა ქვეყანა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთელი ერთსულოვანი ოჯახი.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის იუბილეს აღნიშვნის შესახებ“.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს მშრომელები საყოველთაო სახალხო ენთუზიაზმისა და შემოქმედებით შთაგონების ვითარებაში დიდი სიამაყის გრძნობით ეგებებიან ახალ ღირსშესანიშნავ თარიღს თავის ისტორიაში და მიაჩნიათ ეს დღესასწაული ოქტომბრის სახელოვან ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან და ვლადიმერ ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებული ზეიმის გაგრძელებად.

1921 წლის თებერვლიდან დაიწყო თვისობრივად ახალი ერა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში — განთავისუფლებული შრომის, სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკისა და ეროვნული კულტურის სწრაფი განვითარების ერა.

კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ოჯახში, საქართველოს მშრომელებმა მოკლე ისტორიულ ვადაში ბოლო მოუღეს ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობას. უდიდესი გარდაქმნები მოხდა კულტურის, მშრომელთა სულიერი ცხოვრების დარგში. განვითარების ფართო შესაძლებლობანი შეექმნა ლიტერატურას, ხელოვნებას, მეცნიერებას, აღიზარდნენ ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის შესანიშნავი კადრები.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის საბჭოთა საქართველოს ორჯერ მიენიჭა მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ქართველი ხალხის ყველა გამარჯვებისა და წარმატების ორგანიზატორია საქართველოს კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაცადი, მებრძოლი და ერთგული რაზმი. XX საუკუნის მიჯნაზე შობილი საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები მუდამ იყვნენ მუშათა კლასის, ყველა მშრომელის საქმიანათვის ბრძოლის მოწინავე ბაზზე. საქართველოს კომპარტია მუდამ ზრდილა და ახლაც ზრდის ხალხს მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევა, რომ მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია დარაზმოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის საბრძოლველად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს 1971 წლის თებერვალში მოაწყონ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის დღესასწაული როგორც ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვების დღესასწაული. იუბილეს მომზადება და დღესასწაული ჩაივლის მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი ამაღლების, კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის მათი დარაზმვის ნიშნით. პარტიულ, საბჭოთა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ სათავეში ჩაუდგნენ საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას.

საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებისა და იუბილეს მოწყობის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა რესპუბლიკური საიუბილეო კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან ამხანაგები: ვ. პ. მჟავანაძე (თავმჯდომარე), გ. დ. ჯავახიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), გ. ს. ჯოფენიძე (თავმჯდომარის მოადგილე), გ. გ. აბაშიძე, ი. გ. აბაშიძე, ა. გ. ალიევი, დ. კ. ანთაძე, ი. დ. ართმელაძე, ზ. გ. ახვლედიანი, ა. მ. ბალანჩივაძე, ა. ა. გლურჯიანი, შ. ე. ბუხრაშვილი, კ. კ. გარდაფხაძე, დ. ვ. გელაშვილი, გ. გ. გიგიბერია, მ. ა. გოგიჩაიშვილი, დ. ვ. გოგოხია, ს. გ. დოლიძე, ი. ნ. ვეკუა, ს. ა. ზაქარიაძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, ა. დ. თხილაიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ვ. ო. კოგანია, ს. კ. კურკოტკინი, თ. ვ. ლაშქარაშვილი, ო. ი. ლოლაშვილი, დ. ვ. ლომაძე, დ. ა. მამისაშვილი, რ. ვ. მეტრეველი, გ. შ. მიქელაძე, ნ. ი. მუსხელიშვილი, დ. ვ. მჭედლიშვილი, ს. ლ. ნიკოლაიშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. პისარევა, პ. ა. როდიონოვი, შ. ა. სალარიძე, ვ. მ. სირაძე, გ. ვ. სიხარულიძე, გ. ს. ფირცხალავა, რ. ი. ფრუიძე, ე. გ. ღუდუშაური, შ. ვ. ყარყარაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, გ. შ. ჩადუნელი, ო. ე. ჩერქეზია, ი. ნ. ჩხენკელი, დ. ი. ჩხიკვიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, შ. ი. ჭანუყვაძე, ვ. ი. ჭიაურელი, ა. ვ. ჭირაქაძე, ი. რ. ხვედელიანი, ე. მ. ჯაფარიძე, უ. მ. ჯაფარიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, გ. ნ. ჯუსოევი.

* * *

9 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის პირველი სხდომა, რომელმაც დასახა საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისათვის მზადების კონკრეტული ღონისძიებანი.

ჩვენი საბელოვანი მაყულიშვილები

მისი შემოქმედებითი ხარკი



თემზაობის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს რეზო ლაღიძემ.

ამ დღეებში „სამშობლოს“ კორესპონდენტი ჯემალ ქურხული შეხვდა რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კომპოზიტორ რევაზ ლაღიძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა.

◆ ბატონო რევაზ, სად დაიბადეთ და როდის?

— თბილისელი კაცი ბაღდადში დავიბადე 1921 წლის 10 ივლისს.

◆ როგორ გახდით კომპოზიტორი?

— მაშინ თბილისის მეოთხე მუსიკალურ სასწავლებელში ვსწავლობდი. დავწერე „მგზავრული“ და „იავნანა“. ჩემი პირველი „ნაცოდვილარი“ ერთერთ კონცერტზე დიმიტრი არაყიშვილმა მოისმინა და მირჩია, საკომპოზიციო ხაზით წავსულიყავი. მეც განვაგრძე სწავლა კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის კლასში, მასთანვე დავასრულე ასპირანტურაც.

◆ ალბათ ანდრია ბალანჩივაძე დარჩა თქვენს უსაყვარლეს პედაგოგად.

—დიახ. თუ მე კომპოზიტორი მქვია, ამ ადამიანის წყალობით არის. მან მასწავლა ეროვნული კულტურის სიყვარული და შემძინა პროფესიონალიზმი.

◆ როგორ მოგიტანათ პირველი წარმატება?

— 1949 წელს კომპოზიტორთა III საკავშირო ყრილობაზე შესრულდა ჩემი სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“, რომელიც ილიას „დიმიტრი თავდადებულის“ მიხედვით შევქმენი, ხოლო მოგვიანებით სიმფონიურმა სურათმა „საჭიდაომ“ მთელი ქვეყანა მოიარა. ამ ნაწარმოებებმა მომიტანეს პირველი წარმატებანი და აქედან დაიწყო ჩემი ნამდვილი პროფესიული საქმიანობაც.

◆ რომელ ჟანრში გიყვართ მუშაობა?

— ბოლო პერიოდში ვოკალურ-სიმფონიური ჟანრი უფრო მიტაცებს.

◆ რას განიცდით, როდესაც თქვენს სიმღერას ისმენთ?

— უდიდეს სიამოვნებას და... ნაღველს. ამ დროს ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ეს სიმღერა, რომელსაც ვთხზავდი წვითა და დაგვით, მე აღარ მეკუთვნოდეს.

◆ თქვენი რომელი სიმღერა მოგწონთ განსაკუთრებით და ვინი შესრულებით?

— „თბილისო“ დები ჩაფიჩაძეების შესრულებით. გულს მიხარებს, როდესაც ამ სიმღერას ბერძენი მომღერალი ქალი იოვანა მღერის. დიდად ბედნიერი ვარ, როდესაც ჩემ სიმღერებს „ბალადა ვაზზე“ და „განთიადს“ ნანი ბრეგვაძის შესრულებით ვისმენ.

◆ რამდენი მუსიკალური ნაწარმოები შექმენით დღემდე?

— არც ისე ბევრი. მაგრამ იქნებ არც ცოტა. მიმუშავია სიმფონიურ, კამერულ, ვოკალურ, საოპერეტო ჟანრებში. მუსიკალურად გავაფორმე ქართული მხატვრული ფილმები: „საბუდარელი ჭაბუკი“, „კეთილი ადამიანები“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ხევისბერი გოჩა“, „განგაში“ და ყოველთვის ვცდილობდი პირნათლად გადამეხადა ჩემი შემოქმედებითი ხარკი.

◆ რა ურთიერთობა გაქვთ ახალგაზრდობასთან?

— ახალგაზრდობა ჩემი თემაა. ბევრი მიმუშავია მათთვის, სწორედ ამიტომ მომანიჭეს კომკავშირის სახელობის პრემია. ეს ჩემთვის უბედნიერესი საჩუქარი იყო. ყოველთვის ვგრძნობ, როგორ ვუყვარვარ „ჩვენი სამშობლოს ხვალინდელ ღიმილს“. ეს ძალას მმატებს შემოქმედებით მუშაობასა და პედაგოგიურ მოღვაწეობაში თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში თუ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

◆ ვისთან მეგობრობთ?

— თითქმის ყველა პროფესიის ადამიანებთან.

◆ ვინ გიყვართ ყველაზე მეტად?

— შვილი, ოჯახი, სამშობლო.

◆ წელიწადის რომელი დრო მოგწონთ?

— ჩვენში წელიწადის ყველა დროს თავისი შნო და ლაზათი აქვს, მაგრამ შემოდგომა მაინც შეუდარებელია, ხვავიანი, მსუყე, ათასფერი შემოდგომა, როცა ქვევრებში მაჭარი დუღს და...

◆ რომელ ღვინოს ამჯობინებთ?

— „გურჯაანს“. მისი სიყვარულით შვიდ გურჯანელს მერვე ძმად გავეფიცებოდი.

◆ თქვენი საყვარელი ხელოვანი, მწერალი, სპორტსმენი?

— ანდრია ბალანჩივაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ბორის პაიჭაძე.

◆ თქვენი გატაცება მუსიკის გარდა?

— თევზაობის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ.

◆ რას გვპირდებით მომავალში?

— აღსრულდა, მგონი ვამთავრებ ოპერა „ლელას“.

◆ რას უსურვებდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს?

— უფრო ახლოს ყოფილიყვნენ დედასაქართველოსთან, მშობლიურ მიწა-წყალთან.

სიხლით განმტკიცებული მეგობრობა



მოგონებებს წიგნები, სურათები და მრავალი წერილი მოჰყვა. სურათებიდან მისი ჩეხი და პოლონელი მეგობრები შემომცქეროდნენ. 25 წლის წინათ ბრძოლის ველმა დაამეგობრა ისინი. არც ახლა ივიწყებენ ერთმანეთს. სათუთად ინახავს ძველი პარტიზანი მეგობრების ბიერ მოწერილ ყოველ ბარათს. აქ ნახავთ მოლოცვებს, სურვილებს, მიპატიჟებას, ძველის გახსენებას. ეს წერილი ჩეხ მიხეილ პიტელს ეკუთვნის.—„ძვირფასო მებრძოლო მეგობარო ამბროსი! გილოცავთ ახალ ჯილდოს — „სლოვაკიის ეროვნული აჯანყების“ მედალს“...

—შარშან ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ, — მიყვება ყოფილი პარტიზანი ამბროსი ყვავაძე, — მე და ლადო ძნელაძე სლოვაკიის სახალხო აჯანყების 25 წლისთავის დღესასწაულზე მიგვიწვია და სლოვაკიის აჯანყებისა და ჩეხოსლოვაკიის პარტიზანის ეს შეხლები და ქალაქ პრეშოვის სამახსოვრო გერბი გადმოგვცეს.

არც პოლონელი მეგობრები ივიწყებენ ამაგდარ პარტიზანს. — ქართველები ბევრნი ვიბრძოდით პოლონეთის ტყეებში, — ამბობს იგი, —— „შავი ვალოდია“ (ლადო ძნელაძე), „ვასია გრუზინი“ (ვასილ ტერენტის ძე ყუავანაძე), „ალექსანდერი“ (ამბროსი ყვავაძე), „დავითი“ (დავით გეგენავა), აკაკი კახეთელიძე და მრავალი სხვა. ჩვენი რაზმი შიშის ზარსა სცემდა ფაშისტებს.

პოლონეთის მთავრობამ სხვებთან ერთად ამბროსი ყვავაძეც დააჯილდოვა „პარტიზანული ჯვრის“ ორდენით.

დახასიათებაში, რომელსაც ხელს აწერს პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელი ჩესლავ ბორეცკი, წერია, რომ ამბროსი ყვავაძე 1943 წლის მარტიდან 1944 წლის მაისამდე იმყოფებოდა რადომ-კალეცკის ოლქის „გვარდია ლიუდოვოის“ და „არმია ლიუდოვოის“ პარტიზანულ რაზმებში და იყო რაზმის მეთაური, ჰქონდა ფსევდონიმი „ალექსანდერი“. 1944 წლის მაისში იგი გადაიყვანეს საბჭოთა პარტიზანულ რაზმში, რომელიც ქალაქ ლიუბლინის ახლოს, იანოვის ტყეში მოქმედებდა. ამხანაგი ყვავაძე, ვკითხულობთ დახასიათებაში, აქტიურად მონაწილეობდა გერმანელ და პოლონელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1943 წლის 13 სექტემბერს, როცა პარტიზანებმა გერმანელთა სამხედრო ეშელონი ააფეთქეს.

როგორ მოხვდა იგი პარტიზანებთან პოლონეთის ტყეებში?

ომის პირველი თვეები...

თვითმფრინავებით დამძიმებული ზეცა...

ზარბაზნებისა და ნაღმსატყორცნების გუგუნი, ტყვიების წივილი...

სისხლით დატბორილი დედამიწა...

მტრების მიერ გარშემორტყმული სევასტოპოლი...

ლიუბლინის მახლობლად, იანოვის ტყეში გამართული ბრძოლა. ეს ბრძოლა პოლონეთის განთავისუფლებისათვის პარტიზანული ბრძოლების ნათელი ფურცელია. 25 ათასი 3 ათასის წინააღმდეგ. ეს იყო უთანასწორო ბრძოლა. თვენახევარი ქუხდა იანოვის ტყე, ლაწა-ლუწით იმხვრეოდნენ ასწლოვანი ხეები, სისხლით ირწყვებოდა მიწა, მაგრამ იყო ტყიდან გაღწევის ურყევი რწმენა და ადამიანები იხოცებოდნენ ამ მიზნის მისაღწევად. პარტიზანებმა გაარღვიეს ალყა და მტერს ზარალიც მიაყენეს.

— ვიბრძოდი პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიზანთა შენაერთებში, შემდეგ ჩვენს რეგულარულ არმიას შევუურთდი და ომის დამთავრებამდე ფრონტზე ვიყავი.

ამბობენ, თვალი თვალს რომ მოშორდება, გული გადასხვაფერდებაო. მაგრამ არის ისეთი რამ, რის დავიწყებაც არ შეიძლება — ეს სისხლით განმტკიცებული მეგობრობაა. ამას ადასტურებს ამბროსი ყვავაძისა და მისი მეგობრების ურთიერთობა. მოდის და მოდის მის სახელზე წერილები, უურნალები, გაზეთები. „ალექსანდერს“ არ ივიწყებენ პოლონელი და ჩეხი, რუსი და უკრაინელი, ქართველი და ბელორუსი მეგობრები. არც ამბროსი ივიწყებს მეგობრებს, სწერს, იწვევს მზიურ საქართველოში, თავისუფალ დროს კი მოგონებათა ფურცლებზე გადაჰქვს ნანახი და განცდილი, მოგონებათა ფურცლებზე აცოცხლებს იმ ადამიანებს, რომლებიც მასთან ერთად იბრძოდნენ ქვეყნის თავისუფლებისათვის.

ნადია მეგალიშვილი



სურათებზე: ზევით — ამბროსი ყვავაძის უცხოური ფოსტა. ქვევით — ამბროსი ყვავაძე (მარცხნივ) ჩეხოსლოვაკელი მეგობრის ოჯახში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან



საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ რესპუბლიკის მშრომელებს, რომ ამა წლის 23 ივლისს მოულოდნელად გარდაიცვალა თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

რევაზ იაკობის-ძე ფრუიძე

ახალი წიგნები

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გრიფით გამოვიდა სარგის ცაიშვილის მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია“ — I ტომი. ნაშრომში შეტანილია პოემის ტექსტის ისტორიასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, პოემის რედაქციები; ტექსტის რეკონსტრუქციის ცდასთან ერთად გამოვლენილია ჩანართი ლასტების წარმოშობა, ამის მიზეზები და ტექსტის თანდათანობითი ევოლუცია, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული კლასიკური ხანის მწერლობის ისტორიასთან; ამჟამად არსებული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე გამოყოფილია პოემის რედაქციები და ქვერედაქციები; ნაშრომს უძღვის ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური საკითხების ისტორია ვახტანგ VI-დან დაწყებული ჩვენს დრომდე.

სტამბაშია ჩაშვებული და მალე გამოიცემა მონოგრაფიის II ტომი.

როგორც სარგის ცაიშვილი წიგნის ბოლოთქმაში გვაუწყებს, ამ ტომში რედაქციების კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით დალაგებულია და მეცნიერულად აღწერილია „ვეფხისტყაოსნის“ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი, მასშივე შევიდა რამდენიმე გამოკვლევა: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების ნაირკითხვათა ანალიზი და ხელნაწერთა კლასიფიკაციის შედეგები; ვახტანგის რუსთველოლოგიური შეხედულებები მისივე კომენტარების მიხედვით; პოემის პირველი ხელნაწერი ლექსიკონები: მე-19 საუკუნის მწიგნობართა ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე და სხვა. მეორე ტომსვე დაერთვის საძიებლები, აგრეთვე რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

მონოგრაფიის რედაქტორია აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე.

ეპოსი „გივერგილი“

ახლახან წიგნის თაროებზე გაჩნდა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ვახტანგ ონიანის მიერ დამუშავებული და დასურათებული სვანური ეპოსი „გივერგილი“ (რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე). „გივერგილი“ ავტორმა სასიმღერო ვარიანტების საფუძველზე შეავსო. იგი ძირითადად ეყრდნობოდა აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიასა და მისეულ გუჯეიანის მიერ 30-იან წლებში ჩაწერილ ნიმუშებს.

„სვანურ მითოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბუნების მაგიურ უჩინარ ღვთაებებს. ამათგან ყველაზე მიმზიდველი და ფანტასტიკური სილამაზის არიან ოქროსთმიანი დალები. ისინი ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ მიუვალ კლდეებში და მფარველობენ კეთილშობილ ნადირს — ჯიხვს, არჩვს, ფრინველთაგან — შურთხს, მათ ჰყავთ დედოფალი და აქვთ თავიანთი კანონები“, — წერს შესავალში ვახტანგ ონიანი.

სწორედ მონადირე გივერგილის ბედზე, მის მიერ ნადირობის ადათის დარღვევაზე, ლალცხატში ანუ ნაკრძალში შეჭრაზე და დალებისგან მის შერისხვაზე მოგვითხრობს ეს სვანური ეპოსი.

ვახტანგ ონიანის მიერ სიყვარულით დასურათებული ეს ახალი წიგნი პოლიგრაფიულადაც მაღალ დონეზეა შესრულებული.

„სერგი დანელია“

XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის სერგი დანელიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოუთხრობს მკითხველს გამომცემლობა „განათლების“ მიერ გამოშვებული ბროშურა — „სერგი დანელია“, რომლის ავტორია ბონდო კარტოზია. ავტორი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აცნობს ფართო საზოგადოებას სახელოვანი მამულიშვილის ბიოგრაფიას, უანგარო სამსახურს მეცნიერებისა და მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, განიხილავს მის მრავალმხრივ მოღვაწეობას როგორც ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში, ისე ლიტერატურაში, განსაკუთრებით ანტიკური ფილოსოფიისა და XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიაში.

პირველი სადღეგრძელო — საქართველოს

ლელი, ბომბეი, მადრასი, სინგაპური, პერტი, და, ბოლოს, ადელაიდა. ავსტრალიის ეს ლამაზი ქალაქი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს ხელოვნების მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. სიმღერისა და მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც აქ რეგულარულად იმართება, ბევრი ცნობილი ანსამბლი, მუსიკოსი, მომღერალი თუ დრამატული თეატრი მონაწილეობს. მაგალითად, წლეულს ლონდონიდან ჩამოვიდა სამეფო თეატრის ბალეტი, შექსპირის სახელობის დრამატული თეატრი, მაროკოსა და ტაილანდის საცეკვაო ანსამბლები, სხვადასხვა ქვეყნის სიმფონიური ორკესტრები, გამოჩენილი მომღერლები... და აი ასეთ პირობებში საქართველოს წარგზავნილებმა არნახული გამარჯვება მოიპოვეს. ოვაციებს ბოლო არ უჩანდა, პრესამ „ჯადოქარ მოცეკვავეთა“ გამოსვლა სპორტის სასახლეში (იგი 4.500 კაცს იტევს), ფესტივალის მწვერვალად აღიარა. ბანკეტზე, რომელიც ფესტივალის კომიტეტმა და ქალაქის მერმა გამართეს, პირველი სადღეგრძელო საქართველოსა და ქართული ანსამბლის სადიდებლად შეისვა.

20-ის მაგივრად — 26

ადელაიდიდან ანსამბლი სიდნეის ეწვია. სამეფო თეატრში, რომელიც 1.600 კაცს იტევს, 20 კონცერტი იყო დაგეგმილი. სიდნეელებს ქართველ მოცეკვავეთა გამოსვლა 1963 წლის გასტროლებიდან ახსოვდათ, რა თქმა უნდა, ოცსავე კონცერტზე ყველა ბილეთი წინასწარ გაიყიდა. მასპინძელთა დაჟინებული თხოვნით გაიზარდა კონცერტების რიცხვიც. გასტროლების დროს, როდესაც ყოველი დღე, ყოველი-საათი წინასწარ არის დაგეგმილი, ერთ ქალაქში გეგმის ზევით 6 კონცერტის გამართვა არც ისე ადვილია, მაგრამ წარმატებებითა და კეთილი მასპინძლობით ნასიამოვნებმა მოცეკვავეებმა შეუძლებელი შეძლეს. ხშირად დღეში ორჯერ გამოდიოდნენ მაყურებელთა წინაშე, შაბათს კი სამი კონცერტიც გამართეს. პრესა ერთხმად აღნიშნავდა, რომ უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე ანსამბლის პროფესიული ოსტატობა საგრძნობლად გაიზარდა. გაზეთები წერდნენ კოსტიუმების განუმეორებელ სილამაზეზე, რომლებიც სახალხო მხატვრის სოლიკო ვირსალაძის ესკიზებით არის შეკერილი.

ახალ ზელანდიაში

ახალ ზელანდიაში ჩასულებს პირველი კონცერტის გამართვა ქალაქ ველინგტონში მოუხდათ, აქედან კი ქალაქ ჰამილტონს ეწვივნენ. დაუვიწყარი იყო შეხვედრა და ის ცერემონიალი, რომელიც ქართულ ანსამბლს ოკლენდის აეროდრომზე ადგილობრივმა მკვიდრმა მოსახლეობამ მოარებმა მოუწყვეს. მათ სტუმართა პატივსაცემად თავიანთი ძველებური ცეკვა-თამაში გამართეს, შემდეგ კი ანსამბლის ყველა წევრს მეგობრობის ნიშნად თვითნაკეთი დანები აჩუქეს. მიღებაზე, რომელიც მაორების ბელადმა ანსამბლის წევრებს გაუმართა, მრავალი თბილი სადღეგრძელო ითქვა. სტუმრებმა გულღია მასპინძლები საქართველოში მოიპატიჟეს.

2 ბილეთი — 40 დოლარი

ახალი ზელანდიიდან ანსამბლი კვლავ ავსტრალიაში დაბრუნდა. ამჯერად კონცერტები დანიშნული იყო ქვეყნის სატახტო ქალაქ კანბერაში. პირველსავე კონცერტს მთელი ავსტრალიის მთავრობა დაესწრო. აქაც ოვაციები, ყვავილები და, რა თქმა უნდა, — თხოვნა დამატებითი კონცერტის გამართვაზე.

მილიონთა ტაში და სიყვარული

● ორივეს ერთად ნახვა არ მოხერხდა. ძალბატონი ნინო წყნეთში ისვენებს. მასპინძლობა ბატონმა ილიკომ გამიწია. ჩვენი საუბარი, რომელიც ორ საათს გაგრძელდა, ანსამბლის ბოლო მოგზაურობას ეხებოდა. ამჯერად ჩვენი მიწის სითბო და ცეცხლოვანი ცეკვები საქართველოს ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლმა სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, მალაიზიისა და სინგაპურის მკვიდრთ მიუტანა.



კანბერაში მოხდა ასეთი კურიოზი. ქალაქის გენერალ-გუბერნატორი ერთ-ერთი კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ტელეფონით დაუკავშირდა ანსამბლის იმპრესარიოს და თავისი სტუმრებისათვის ორი ბილეთი ითხოვა. ბილეთების შოვნა ძალზე გაჭირდა. გამოსავალი არსად ჩანდა, მაგრამ მოხერხებული იმპრესარიო არ დაიბნა. გავიდა ქუჩაში, მოძებნა ქორვაჭარი და ორი ბილეთი 40 დოლარად შეიძინა. ასე თუ გაგრძელდა, ჩემი ფინანსური საქმე შორს ვერ წავა, ხუმრობდა შემდეგ დაზარალებული იმპრესარიო.

ოქროს რუკა — ოქროს ანსამბლს

დეკემბერში 20-ის მაგივრად ანსამბლმა 30 კონცერტი გამართა. ერთ-ერთ კონცერტს დაესწრო გამოჩენილი ავსტრალიელი მწერალი ალან მარშალი. „მე საქართველოში ვყოფილვარ, თქვენი ცეკვა ზუსტად შეეფერება იმ დალოცვილი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას, ვაჟკაცობასა და სილამაზეს“, — ასე გამოხატა თავისი აღტაცება დიდმა შემოქმედმა, რომელიც მეგობრობის ნიშნად ილიკო სუხიშვილმა საქართველოში მოიპატიჟა.

ავსტრალიაში გასტროლები ანსამბლმა ქალაქ პერტში დაამთავრა. აქ ილიკო სუხიშვილსა და ნინო რამიშვილს სამახსოვროდ გადასცეს ოქროს რუკა, რომელიც ავსტრალიაში ანსამბლის მოგზაურობას ასახავს.

საჩუქარს მასპინძლებმა ასეთი წარწერა გაუკეთეს — ოქროს რუკა — ოქროს ანსამბლს.

რეკორდი

სინგაპურში ანსამბლს არსებობის 25 წლისთავი შეუსრულდა. 11 ივლისის კონცერტზე მოსულმა მაყურებელმა უხვად მოიტანა ყვავილები. მილოცვებსა და კეთილ სურვილებს ბოლო არ უჩანდა. აქ გამართული 4 კონცერტის შემდეგ ანსამბლი მალაიზიას ეწვია. შიში, რომ აქაური მაყურებელი ქართველ მოცეკვავეთა გამოსვლას შედარებით გულგრილად მიიღებდა, არ გამართლდა. ყოველი კონცერტის შემდეგ ფარდა დიდხანს არ იხურებოდა, ხოლო მოცეკვავეები ცალკეულ ნომრებს 2-3-ჯერ იმეორებდნენ.

და აი დადგა სამშობლოსკენ გამომგზავრების დღეც. უკან დარჩა 105 დღის საგასტროლო მოგზაურობა. ამ ხნის განმავლობაში ანსამბლმა 120 კონცერტი გამართა და ნახევარ მილიონზე მეტ მაყურებელს უჩვენა თავისი ხელოვნება. ამით ქართველმა მოცეკვავეებმა თავისებური რეკორდი დამყარეს — ამდენი კონცერტი მათ ერთ გასტროლებზე არასოდეს გაუმართავთ.

ბატონმა ილიკომ საუბარში განსაკუთრებით თბილად მოიხსენია ქართველები, რომლებიც მას ავსტრალიაში მოგზაურობის დროს ხვდებოდნენ. — ჩვენი წარმატება მათაც გულით ახარებდათ. სასიამოვნო იყო მათ ოჯახებში სტუმრობა. ბატონმა ილიკომ გვთხოვა ჩვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ავსტრალიაში მცხოვრებ ქართველთა ოჯახებს კეთილი მასპინძლობისათვის.

ახლა მომავალი გეგმების შესახებ. ამჟამად ანსამბლი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის შესახვედრად ემზადება. მანამდე კი ქართველ მოცეკვავეთა ერთი ნაწილი საფრანგეთს ეწვევა, სადაც ოქტომბერში საქართველოს კულტურის დღეები გაიმართება. კიდევ ერთი ცნობა: ნოემბერში სპორტის სასახლეში საზეიმოდ აღინიშნება ანსამბლის არსებობის 25 წლისთავი.

რა თქმა უნდა, ჩვენს სახელოვან მოცეკვავეებს უფრო შორეული გეგმებიც აქვთ.

1971 წლისათვის უკვე მიიღეს მიწვევა ინგლისიდან და ირლანდიიდან. გამოცდილი იმპრესარიო, საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ილია ჯაბადარი კი, რომელმაც ჯერ კიდევ 1967 წელს უნაკლოდ გამართა ქართველ მოცეკვავეთა კონცერტები თურქეთში, ანსამბლს ესპანეთში ეპატიჟება. თუ რომელი მიპატიჟება განხორციელდება, ეს მომავლის საქმეა. ერთი კი საჭიროა აღინიშნოს: სადაც უნდა წავიდნენ ქართველი მოცეკვავეები, ყველგან სიხარულსა და გულიერებას წაიღებენ. შინ კი გამარჯვებულნი დაგვიბრუნდებიან და ნაადვილად მილიონთა კეთილ სურვილებსა და სიყვარულს ჩამოგვიტანენ.

რეზო მაჭავარიანი.

შეხვედრა ოკლენდის აეროდრომზე. ლეონიდ პონომარიოვის ფოტო

ᱥᱟᱱᱛᱟᱞ ᱯᱟᱨᱜᱟᱱᱟᱹ ᱵᱟᱦᱟ ᱯᱚᱨᱸᱫᱟ ᱯᱟᱹᱨᱵᱚᱛᱤ ᱥᱮᱨᱢᱤ ᱠᱷᱚᱨᱟᱹᱥᱟᱱ ᱵᱟᱦᱟ ᱯᱚᱨᱸᱫᱟ

ᱵᱟᱦᱟ ᱯᱚᱨᱸᱫᱟ ᱥᱟᱱᱛᱟᱞ ᱯᱟᱨᱜᱟᱱᱟᱹ ᱥᱟᱱᱛᱟᱞ ᱯᱟᱨᱜᱟᱱᱟᱹ

ულვთო იყო მისი სიკვდილი!

ვინც ძველი ქართული სოფლის სასაფლაოზე გაივლის და დაათვალიერებს, ერთი გრძნობა უთუოდ გამოჰყვება: სიკვდილის გარდუვალ ძალას აქ ყველა და ყველაფერი გაუსწორებია, თითქოს ერთი ადლით დაუზომავს და ერთი საჭრეთლით გამოუკვეთია ყველა საფლავის ქვა; ერთნაირი, ერთი ზომის, ერთი ფერისა და ხარისხის ქვა დაუდია ყველასათვის გულზე... მხოლოდ დროს შეუცვლია აქა-იქ ზოგი ლოდის ფერი. ყვითელი თუ ლურჯი ფერიმჭამელა მოსდებია ზოგიერთს, ან ხავსი შესცრებია — წვიმიანში ქორფა და მოხასხასე, სიცხეში უსიცოცხლო და გამომშრალი.

აქა-იქ მცირე ზომის ქვებიც მოჩანს, მაგრამ ეს ხომ უასაკოთა ქვებია, ეს კი ოდითვე დადგენილ ზომიერებას არ არღვევს, პირიქით, აქაც ჭირისუფალთა თუ კეთილ ქვისმთლელთა სათნოება გამოსჭვივის, მცირეწლოვანთ დიდი ლოდი არ ემძიმოთო.

აქ დაბალი და მაღალი, ღარიბი და მდიდარი ერთ თარაზოშია გამოყვანილი და გასწორებული.

არა, არა ჰგავს მიწის მცირე მონაკვეთი დიდი ქალაქის ბუტაფორიულ სასაფლაოს. აქ დაბეჯითებით იგრძნობა, რომ ეს სევდისმომგვრელი საუკუნო სამკვიდრო აუცილებელი ნაწილია დიდი, ცოცხალი და მფეთქავი მიწისა, სადაც კაცთა ძახილი და ურიამული გაისმის.

მშობლიური კლდიდან მოკვეთილი უბრალო ლოდი სოფლის სასაფლაოზე ყველას ერთნაირად ადევს გულზე: გუთნისდედას თუ ღამის მეხრეს, მხედარსა თუ მეტივეს, კალატოზსა თუ დურგალს... მხედრის საფლავის ქვაზე ცხენზე მჯდარი ჩოხაახალუხიანი კაცია ამოკვეთილი, თავისი ერთგული ხმლითა და ქამარ-ხანჯალით, გუთნისდედისა და გუთნისმთლელის ქვას სახნის-საკვეთი და ხელნები ამშვენებს, მეტიეს მკერდზე ორთაყვირები ასვენია, კალატოზს ჭაფჩა უჭირავს და თითქოს ამბობს: შენდობა მიბრძანეთ, ისეთი ჭაფჩა მჭონდა, მარჯვენას მირჩევნიაო, ან კიდევ შენდობა მიბრძანეთ, ისეთი ჭაფჩა მჭონდა, მარჯვენა ხელი მარცხენას არ მისცემდაო.

აქ, ამ ქვეყნით წასულ ადამიანთა შორის ქონებრივი თუ პროფესიული განსხვავება ქვის ზედაპირზე მსხვილი ასოებით არის ამოკვეთილი, ქვა აქ აუცილებელი და საჭირო ცნობარია და არა დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ძეგლი. ვისაც ამ ქვეყნად სიკეთე უთესია და სახელი დაუგდია, მის საფლავს უბრალო ლოდიც დაამშვენებს.

ამგვარ ფიქრებს იწვევს გურამ რჩეულიშვილის საფლავის ქვა, თბილისის გარეუბანში, ვაკის ძველ სასაფლაოზე.

...ჭაბუკი მხედარი გაჭენებულ ცხენზე ზის. მხედარს საკინძეგახსნილი პერანგი აცვია, მარჯვენა ხელით გაფრენილი ცხენის აღვირი თუ ფაფარი უჭირავს, მარცხენით გაშლილი პერგამენტი თუ ქაღალდის გახსნილი გრაგნილი. საფლავის ქვის თავსა და ბოლოს მზე და მთვარეა ამოკვეთილი, აქა-იქ ვარსკვლავთა ყვავილებია მიმოფანტული. ცხენი ჭენებით მიქრის, მკერდი წინ წაუგდია...

ეს ყველაფერი უბრალო, სადა ხელმოსმით არის შესრულებული და ზემოთ აღწერილი ძველი ქართული ლოდების მხატვრობას ახსენებს მნახველს. ლოდზე უბრალოდ დაუწერია მხატვარს: „გურამ რჩეულიშვილი, 1934-1960“.

ჭაბუკი მზითა, მთვარითა და ვარსკვლავების შუქით განათებულ გზაზე მიაქროლებს თავის სალამურას. დიახ, ეს სალამურაა, ან თვითონვლა...

ძლიერ უყვარდა ჭაბუკს თავისი ურჩი სალამურა, უხედნი, ურა კვიცი.

ეს ის სალამურაა, რომელიც რკინის ლაგამსა და აღვირებს ვერა და ვერ შეეგუა, ვერ შეეჩვია დოღის ცხენობას, მშობლიურ კლდეებსა და ფერდობებზე ნავარდი მოეწადრა, მხედარს გაექცა, დიდი ქალაქის ქუჩაში მომავალ მანქანას შეეფეთა, დაფრთხა, ხიდიდან გადაეშვა და ფეხები მოიმტვრია.

ამ ლოდის მხატვარს „ლინეიკის“ ჯანდაბა ცხენად ქცეული, „კოლადშერქმეული“ სალამურა ისევ ურჩ კვიცად გარდაუქმნია და მის შემოქმედთან ერთად თავისუფალი ნავარდის უნარი დაუბრუნებია.

მშობლიურ კლდეებს მოკვეთილი ლოდივით თვითყოფი და თავისებური, უაღრესად თანამედროვე იყო გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება, მისი სიტყვა ამ ლოდივით მძიმე და აზრის დამტევი, „უცნაურად მძიმე, მსუბუქად მძიმე“, როგორც თვითონ იტყოდა... სიტყვაში მოძრავი აზრი და ფიქრი ცინცხალი და თავისებური იყო, სხვისგან უთქმელი, ამიტომ მათ გამოთქმას ისეთივე ოსტატობა, სინათლე და ფუტკრის მუყაითი ხანგრძლივი შრომა უნდოდა, როგორც ამ ლოდის გამოკვეთას. მშობლიური კლდეებისა და ყამირი მიწის სურნელი, ველურად გაზრდილი ხეების ნუში და ხორკლი მოსდებოდა თქმას. დაუდუღარი ამბოხისა, ადიდებული მთის მდინარეების ურჩი ბუბუტი და ძახილი ისმოდა მის ჰაბუკურ სიმღერაში. დადიოდა ჭაბუკი ხნულში და „გრძნობდა მიწის სუნთქვას, გრძნობდა ისე, როგორც ეს მხოლოდ ასფალტზე სიარულს დაჩვეულ კაცს შეუძლია, — ჯანსაღად, ახლებურად, ისე, როგორც ბაგაში თივით გამოკვებილი საქონელი გრძნობს გაზაფხულზე ახლად ამოსული მწვანე ბალახის გემოს“.

საოცარი სიზუსტითა და სილამაზით შეეძლო ნანახისა და განცდილის აღქმა და აღბეჭდვა, იცოდა, რა უნდა ენახა, რად უნდა ენახა, მისი თვალი მგრძნობიარე ფირივით იჭერდა და ნთქავდა გარემოს. ერთნაირი სიცხადით გრძნობდა და გამოსცემდა პატრიარქალურად მოაზროვნე ხევსურისა თუ ჭავჭავაძის გამზირზე მიმავალი სტუდენტების ფიქრებს. ძლიერი შთაბეჭდილება ისე წვავდა და ეკიდებოდა მის გულსა და ხსოვნას, როგორც გაზაფხულის მზე ნაზამთრალ სხეულს.

ლიდხანს უნდა ევლო მას ამ მზის ქვეშ... არა, ულვთო იყო, მართლაც, მისი სიკვდილი! მაშინ ეს ლოდიც უფრო გვიან გაითლებოდა. თუმცა ეს უბრალო ლოდიც დიდს ჰპირდება უდროოდ წასულს. ამ მცირე ქვაზე ამოკვეთილი მზე, მთვარე და ვარსკვლავები განუსაზღვრელი სივრცის შთაბეჭდილებას ჰქმნის. აქ დღე და ღამე ერთია, არის მხოლოდ დრო და სივრცე, უკიდეგანო დროსა და სივრცეს შეჭიდებული ჭაბუკი სურათის ვიწრო ჩარჩოებიდან გამოდის და მარადი დღე-ღამის სახედ იქცევა... ჭაბუკი ამას ნატრობდა.

გიორგი შატბერაშვილი

1965 წელი.



გურამ რჩეულიშვილი

ალვისრიტმა

უცნაური ძალით ამოხეთქეს ვარსკვლავებმა და მთლიანად დაიპყრეს კახეთის ცა. ამოვარდა პირველი ნიავი, ოდნავ შეარხია კენტი ფოთოლი, დაიყოლია და ის-ის იყო უნდა მომწყდარიყო, რომ ჰაერის ახალი ნაზი ტალღა წაეხმარა თითქმის მიმქრალ პირველ ტალღას, სხვა ფოთლებსაც აგრძნობინა თავისი არსებობა. შეიყუჟნენ შემოდგომის მისუსტებული ფოთლები. მაგრამ ისეთი ალერსიანი, სასიამოვნო იყო გრილი, უვნებელი ქროლვა დასავლეთის ქარისა, რომ თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად დაჰყვნენ მის ნებას და აშრიალდნენ დიდი ხეები, აშრიალდნენ ცაცხვები, ჩუმად ახმაურდა თელავის ათასწლოვანი ჭადარიც, საიდუმლო, უვნებელ ხმებად გადმოიღვარა ცივის ფერდებიდან ალაზნის ჭალებში ჩაშვებული სიმღერები.

ბინდის ჩამოწოლასთან ერთად სევდა მოერია ციხის მაღალი ბურჯის თავზე მჯდარი ადამიანის თვალს. ის ცდილობდა ჩაჰყოლოდა ამ ვრძნობას, გარინდებულიყო მარტო ყოფნის ნირვანაში, მაგრამ ბუნება ამ დროს გაცილებით ძლიერი იყო ყველა ადამიანურ გრძნობაზე და პირველი ფოთლის შრიალივით გაიფანტა ეს სევდა.

იჯდა ბურჯის თავზე, ამღერებული ბუნების ძალით, უმღეროდა მას, მღეროდა მთლიანად ჩაფლული საკუთარ ბგერებში, მხოლოდ სუნთქვასა და სუნთქვას შუა გრძნობდა, რომ სადღაც უცნობ ადგილას შორდებოდა მას და ეს შეგრძნება უცნაურად აკლებდა ბუნებისეულ მომხიბლაობას მის ხმას.

მიწყდა მისი სიმღერა და ისევ დაიპყრო ყველაფერი ნიავის, ფოთლების, ატეხილი ჭალების ჰარმონიულმა შრიალმა. ბურჯის ძირში მიმალულმა ჭრიჭინამ დაიცახცახა, ნელი ნათებით შეერია შალაფას ციცინათელა და საიდანღაც მოვარდნილმა სიამაყემ აავსო ბურჯისთავზე მჯდომის გული. წეღანდელი სევდის მაგიერ გრძნობდა ახალი, იმავე ადამიანური ძალის შეგნებულ მორევას, რომელიც გამოყოფდა მას ამ წყვდიადიდან, მუდმივი შრიალიდან. ბურჯის თავზე მჯდარმა კაცმა ისევ დაიწყო სიმღერა, სიმღერამ ძალა შემატა მის სხეულს, წამოაყენა ფეხზე და მთელი ხმით აამღერა. მღეროდა კაცი თავისი ხმით, შრიალებდა ბუნება თავისი ხმით და მხოლოდ ახლა, შუაღამისას, დადგა მთლიანი, უნაპირო დღესასწაული ალაზნის ველზე.

მთელ ღამეს ზეიმობდა თავის დღეობას ჭალიდან თეთრი გედივით გამოვარდნილი ალაველდი.

უცნაური გადასვლა:

„წინანდელმა რელიგიურმა დღესასწაულებმა დაკარგეს თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა და ახლა იქცნენ ლოთების, უსაქმურების ხანმოკლე შფოთისა და დროსტარების ადგილებად“.

გაზეთებიდან.

სექტემბრის ბოლოს ალავერდში გამართული ტრადიციული ქრისტიანული დღეობები მოსავლის აღებასთანაა დაკავშირებული; ამიტომ ატარებს ის განსაკუთრებით ინტერნაციონალური ხასიათს. ამ დღეობებზე ღამის საათებად ჩამოდიან დიდღები, თუშები, ლეკები. წოვები, ჩეჩნები კანტიკუნტად, ქისტები დიდი რაოდენობით, მთელი კახეთის მოსახლეობა, ვისაც კი ფეხი მიუწვდება ამ ბოლოებამდე, და ყარაჯალელი გლეხები. ისინი წარმოუდგენელად ვიწრო ურმებზე პირამდე დატვირთული ბავშვებით გაღავნის ბოლოს ირჩევენ ადგილებს. სვამენ იქვე, ჭამენ და ჩუმად მიდიან ღამენათევნი თავიანთი სახლებში: სამაგიეროდ ნაღვინევი, უზარმაზარფაფახიანი დიდღები ჭირვეულად დაეხეტებიან ურმებს შორის.

მთელი ღამე ილოცებიან, გაღობენ, სვამენ უწესრიგოდ მღერიან დარჩენილი მორწმუნენი თუ ურწმუნონი... ღამით კიდევ სუფევს რაღაც ოჯახური. შემდეგ ღამენათევნი, პატიოსანი შრომის პატივისმცემელი გლეხობა გათენებამდე აბამს საქონელს ჩარდახიან ურმებში და მზის ამოსვლამდე ტოვებს ტაძრის მიდამოებს.

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

ათი წელიწადი დაღუპვიდან! ამ მეტად ნაღვლისმომგვრელ ფრაზას დღეს ჩვენში ბევრი გაიმეორებს. ათი წლის წინათ, 1960 წლის აგვისტოში, ბრმა შემთხვევამ ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლო 26 წლის უნიჭიერესი ახალგაზრდა, უკვე მზად რომ იყო თანამედროვე სისხლსავსე ლიტერატურის ცალკეული მწვერვალების დასაპყრობად, ჰქონდა საკუთარი შინაგანი დიდი პოტენცია.

გადის ხანი. რაღაც იცვლება ყოველდღე. გურამ რჩეულიშვილის წრფელი სტრიქონები კი მარად დარჩება, როგორც პრელუდია იმ მართალი დიდებისა, ქართული მხატვრული სიტყვა, ჰანგი და მომავალი რომ აღუთქვამდნენ შუბლგახსნილ ჭაბუკს.

სტრიქონები ტრაგიკულად არ ღუპებიან, ისინი ცოცხლობენ თავიანთ მართალ, კლასიკურობამდე დაწმენდილ და უბრალო სათაურებქვეშ წელგამართულნი და მომხიბვლელნი.

„ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“, „სიკვდილი მთებში“, „ნელი ტანგო“, „პირველად ტრამალებში“, „ლამაზია გურჯის ქალი“, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“, „დევების ცეკვა“, „ბათარეკა ჭინჭარაული“, „ალავერდობა“... ბრწყინვალე ოსტატობით გაყღენთილი ამ ნატიფი ნოველებიდან თქვენთვის, მკითხველო, „ალავერდობა“ გამოვყავით, როგორც უდროოდ დაღუპული დიდი მომავლის მქონე გულანთებული ქართველი ჭაბუკის, ბობოქარი ენების ჩამოყალიბებული სიმფონია.



ამ ოთხი კოლხეთში არგონავტების ლაშქრობაზე ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი უძველესი თქმულებაა. ძველ ბერძნულ სამყაროში იგი უკვე საყოველთაოდ იყო ცნობილი ჰომეროსის „ოდისეის“ შექმნის დროისათვის, ესე იგი ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დამდეგისათვის მაინც.

ძველი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს (ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნე) აზრით, აქეველები ტროას თავს იმიტომ დაესხნენ, რომ ტროას მეფის პრიამის ძემ ალექსანდრემ შური იძია კოლხეთიდან არგონავტების მიერ ოქროს საწმისისა და მედეას მოტაცებისათვის და სპარტის მეფის მენელაოსის მეუღლე ელენე მოიტაცა. აქ საინტერესოა არა მარტო ის გარემოება, რომ არგონავტების ლაშქრობა ამ ცნობათა თანახმადაც წინ უსწრებს ტროას ომს, არამედ ისიც, რომ ჰეროდოტე, „ისტორიის მამად“ წოდებული, ამ ორ მოვლენას — არგონავტების ლაშქრობასა და ტროას ომს მიზეზობრივ კავშირში განიხილავს. არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში რომ უშუალოდ წინ უსწრებდა ტროას ომს ეს იქიდანაც ჩანს, რომ არგონავტების ლაშქრობის მონაწილეებად გვევლინებიან „ილიადის“ გმირები, ესე იგი ტროას ომის მონაწილეთა მამები (მაგალითად, პელევსი, ტელამონი).

ტროას ომს თანამედროვე მეცნიერება ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნის დამლევს უფარდებს. არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში თუკი ერთი თაობით წინ უსწრებდა ტროას ომს, თუ ამ ლაშქრობაში ტროას ომის გმირთა მამები მონაწილეობდნენ, მაშინ, როგორც ჩანს, ეს ლაშქრობა ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნის შუა ხანებში უნდა მომხდარიყო. აღსანიშნავია, რომ თქმულებაში არგონავტების კოლხეთში ლაშქრობაზე სწორედ ამ ხანის კოლხეთის ყოფაა ასახული.

უძველეს ლიტერატურულ ნაწარმოებში შერჩენილი თქმულების ნაწყვეტების შედარება მის შემდგდროინდელ ვერსიებთან ნათელს ხდის, რომ თქმულების სიუჟეტური ქარგა, მიზანდასახულობა, სიმბოლიკა და, რაც მთავარია, თქმულებაში აღწერილ საზოგადოებათა საყოფაცხოვრებო ატრიბუტები თითქმის სულ არ შეცვლილა. ისე რომ, ამ მხრივ შედარებით გვიანდელ ვერსიებშიც ძველი თქმულება, ფაქტიურად, უცვლელი სახით არის დაცული.

თქმულების თანახმად, არგონავტების ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს ძველი ელადის სახელგანთქმულმა გმირებმა, რომელთაგან ზოგნი ღმერთების შთამომავლებიც კი იყვნენ (ჰერაკლე, ორფევსი).

იაზონსა და მის თანამებრძოლებს არგონავტები უწოდეს იმის გამო, რომ მათ კოლხეთისაკენ გამოსცურეს ხომალდით, რომელსაც არგო ერქვა. არსებობს აზრი, თითქოს არგონავტების ხომალდის სახელი დამოკიდებულია არგი ქვეყნის, მ-არგალთა მიწა-წყლის, ესე იგი სამეგრელოს სახელთან. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აიეტის ერთ-ერთი შვილიშვილის არგონავტების მითში დაცული სახელი — არგოსი. ადვილი შესაძლებელია, ამ შემთხვევაში საქმე გვქონდეს არგი ქვეყნისა და მისი მოსახლეობის მ-არგ--ალ ხალხის ეთნარქოსეპონიმთან (მამამთავარ-სახელმდებთან), რომელიც, შესაძლოა, შეესაბამება ქართული საისტორიო წყაროების მეგრელთა მამამთავარს ეგროსს.

არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის მიზანი ოქროს საწმისის ხელში ჩაგდება იყო. აიეტმა უთხრა იაზონს, რომ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში დათმობდა ოქროს საწმისს, თუ იაზონი მის ორ სპილენძისჩლიქიან, ცეცხლისმფრქვეველ ხარს უღელს დაადგამდა, რკინის სახნისით მინდორს დახნავდა, ხნულებში ჩაყრიდა ურჩხულის კბილებს და დაამხობდა ამ კბილებიდან აღმოცენებულ სპილენძის ჯავშნიან მეომრებს. ყოველივე ამას თვით აიეტი გათენებიდან დაღამებამდე ასწრებდა. როგორც ცნობილია, ამ პირობის შესრულებაცა და ოქროს საწმისის მოდარაჯე ურჩხულის ძლევაც იაზონმა შეძლო გამიჯნურებული მედეას დახმარებით. აქ თავს იჩენს მოტივი, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ბერძნული მითოლოგიისათვის. გავიხსენოთ თუნდაც მინოსის ქალიშვილის არიადნას როლი მინოტავრის მოკვლისა და თეზევსის ლაბირინთიდან თავის დაღწევის საქმეში. მაგრამ მთავარი ეს არ არის. არსებითი მნიშვნელობა აქ იმ სიმბოლიკას უნდა მიენიჭოს, რომელშიც ნათლად ვლინდება კოლხეთის ძველი სამეფოს არსი.

ეს დეტალები კოლხეთს წარმოგვიდგენენ, როგორც დიდად განვითარებული მიწათმოქმედების ქვეყანას, სადაც მიწას უკვე რკინის სახნისით ამუშავებენ. თვით მეფე აიეტი, როგორც განსახიერება თავისი ხალხისა და მისი ძლიერებისა, სწორუპოვარ მიწათმოქმედად გვევლინება: მხოლოდ მას შეუძლია დაიმორჩილოს და დაადგას რკინის სახნისის უღელი სპილენძისჩლიქიან ხარებს, გაავლოს სწორი და ღრმა ხნული და გათენებიდან დაღამებამდე დათესოს და მომკას კიდეც.

თუ გადავხედავთ დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალას, დავინახავთ, რომ ამ ზღაპრულ აღწერილობას რეალური ვითარება უდევს საფუძვლად. მართლაც, ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის დამდეგის კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარს შორის თვალში საცემია სამიწათმოქმედო იარაღის მრავალფეროვნება და დიდი სიმრავლე. საგულისხმოა, რომ დასავლეთ საქართველოს ბევრ სამარხში სამარი იარაღის ნაცვლად (როგორც ეს ამ ხანის სამარხებისათვის უფრო დამახასიათებელია) მიცვალებულებს ჩატანებული აქვთ სამიწათმოქმედო იარაღი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ კოლხეთში კიდევ უფრო ადრეული ხანებიდან არის არქეოლოგიურად დადასტურებული მარცვლეულის ენდემური ჯიშები, რომლებიც ათეული საუკუნეების მანძილზე შეადგენდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის საფუძველს. ამავე რიგის მოვლენებს ეკუთვნის აგრეთვე კოლხეთის ხელოვნური ბორცვები, გარშემორტყმული არხებით, რომლებიც რთულ საირიგაციო თუ საკომუნიკაციო სისტემაში შედიოდნენ. კოლხეთში ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში არსებულ ასეთ რთულ სისტემას არხებისას აგვიწერს მეცნიერული მედიცინის მამამთავარი ჰიპოკრატე.

კოლხეთის ძველი სამეფოს ასეთი ხასიათი თავის ასახვას პოულობს რელიგიურ კულტშიც. არგონავტების მითში ნათქვამია, რომ კოლხების მთავარი ღმერთები არიან ურანოსი (ზეცა), გეა (დედამიწა) და ჰელიოსი (მზე), რომლის შთამომავლადაც ითვლებოდა მეფე აიეტი. კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ აქ საქმე გვაქვს კოლხეთისადმი ბერძნული პანთეონის მექანიკურ მიმართებასთან. მაგრამ, თუ გადავხედავთ ხალხურ მეტყველებაში დაცულ კოლხურ წარმართულ კალენდარს, დავინახავთ, რომ არგონავტების მითში ამ მხრივაც სწორი ასახვა პოვა კოლხურმა სინამდვილემ. აღნიშნული კალენდრის მიხედვით, ხუთშაბათი დღე ცის ღვთაებას ეკუთვნოდა და ეწოდებოდა მეგრულად ცაშხა, ჭანურად — ჩაჩხა, სვანურად — ცაშ, ესე იგი ცის დღე. იგივე კალენდრის მიხედვით კვირა დღე მზის ღვთაების დღე იყო: მეგრულად მას შაშხა ეწოდებოდა, ჭანურად — ბეჭჩხა, სვანურად — მიშლაღელ, ესე იგი მზის დღე. სვანურში უკანასკნელი ტერმინი შენახულია აგრეთვე სიტყვათშეთანხმებაში— აია მიშ ლადელ, რაც ნიშნავს აიას კვირა დღე. აია მიწისა და მიწათმოქმედების ღვთაება იყო და მას თაყვანს სცემდნენ ძველ კოლხეთშიც და ურარტუშიც. არ არის გამორიცხული, რომ მიწისა და მიწათმოქმედების ღვთაება აიას სახელთან იყოს დაკავშირებული არგონავტების მითის უძველეს ვერსიებში დამოწმებული კოლხეთის სახელი აია, რომელიც შედარებით გვიან ვერსიებში შერწყმული სახელწოდების აია-კოლხეთის შემადგენელ ნაწილად გვევლინება. ასეთივე წარმოშობისა შეიძლება იყოს მეფე აიეტის სახელიც. მით უმეტეს, რომ ცნობილი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის (I საუკუნე) ცნობით აიეტი კოლხური სახელია.

საგულისხმოა, რომ მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების ამსახველ არგონავტების მითის სიმბოლიკაში კოლხეთის ძველი სამეფოს ისტორიის სხვა ასპექტებიც აირეკლა: სახელმწიფოებრ, მელითონეობის მაღალი დონე, ესოდენ მრავალფეროვნად წარმოდგენილი კოლხეთის არქეოლოგიური მონაპოვრით, ამასთან მელითონეობის არქეოლოგიურად დადასტურებული თავისებურებანი. მხედველობაშია არა მარტო სპილენძისჩლიქიანი ხარები ანდა სახნისის სპილენძის უღელი, რითაც მითისათვის დამახასიათებელი სიმბოლური ხერხებით გადმოცემულია კოლხეთში მაღალი რანგის ლითონის იარაღის არსებობა, ანდა მეფე აიეტის სიმდიდრე, არამედ ლითონის წარმოებაში მომხდარი ძვრები: ახალი ლითონის—რკინის ინდუსტრიის დასაწყისი. არგონავტების თქმულებაში რკინის სახნისის მოხსენება საგულისხმოდ ეხმაურება კოლხურ კულტურაში რკინის იარაღის წარმოების შემოღების ფაქტს სწორედ იმ დროს (ძველი წელთაღრიცხვის XIII-XII საუკუნეები), რომელიც, როგორც ნაჩვენები იყო, უნდა იგულისხმებოდეს თქმულებაში.

დასასრულ, იმ უმთავრესის შესახებ, რაზეც ჩამოსხმულია არგონავტების თქმულების სიუჟეტური ქარგა. მხედველობაშია გვაქვს ვერძის ოქროს საწმისი. სრულიად აშკარაა, რომ ოქროს საწმისიც თქმულების სიმბოლიკის განუყოფელი ნაწილია. ეს აკი ძველადაც შეუმჩნევიათ: სტრაბონი, მაგალითად, აღნიშნავს, რომ კოლხეთში წყლის ნაკადებს ჩამოაქვს ოქრო, რომელსაც ბანჯგვლიანი ტყავების მეშვეობით აგროვებენ. ამბობენ, რომ აქედან წარმოიშვა თქმულება ოქროს საწმისის შესახებო. ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის მწერლის ხარაკს პერგამონელის აზრით კი ოქროს საწმისი სხვა არა არის რა, თუ არა ოქროს მოპოვების წესი, რომელიც დაწერილი იყო ტყავზე. ამ ღირსშესანიშნავი წესის გამო მოაწყეს სწორედ ლაშქრობა ხომალდ არგოთიო, დასძენს ავტორი.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ ურარტული წყაროების ცნობით კოლხეთის ძველი სამეფო და მასში შემავალი პროვინციები შეადგენდნენ მრავალთაგან ქვეყნების იმ უცირესობას, რომელნიც სხვა ლითონთან ერთად ურარტელებს ოქროსაც აწვდიდნენ. აღნიშნულს კარგად ეხმაურება რომაელი ისტორიკოსის პლინიუსის ცნობაც, რომ კოლხეთის მეფე სავლაკი მფლობელი იყო ოქროს საბადოებისა და საერთოდ აურაცხელი ოქროსი. აქ უკვე საუბარია არა მითიურ გმირზე, არამედ, როგორც ჩანს, რეალურ მეფეზე, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა და რომლის სახელიც კოლხეთის მეფეების დინასტიურ სახელად იქცა. ყოველ შემთხვევაში, ელინისტური ხანის კოლხური მონეტების წარწერებიდან ვიგებთ, რომ ამ დროს კოლხეთს განაგებდა კიდევ ერთი მეფე, რომელსაც სავლაკი ერქვა.

ასეთია ის მასალა, რომელსაც გვაწვდის არგონავტების მითი კოლხეთის ძველი სამეფოს შესახებ. ვისაც კი უნახავს ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დამლევისა და I ათასწლეულის დამდეგის არქეოლოგიური მონაპოვარი კოლხეთიდან და ვინც ზემოთ მოხსენიებულ მონაცემებს გაითვალისწინებს, მისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ძველ ბერძენთა ამ წარმტაცი თქმულების წყაროს თავი ისტორიულ სინამდვილეშია საძებარი.

თეიმურაზ მიქელაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

უმქსპირის კაბინეტი უნივერსიტეტში

საერთო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს ღიდი ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის სახელი საქართველოში. მისი ნაწარმოებები მრავალგზის ითარგმნა და გამოიცა. ქართული თეატრის ისტორია წარმოუდგენელია უშექსპიროდ. ჩვენ მდიდარი შესპირიანა გვაქვს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ქართული შექსპირიანას მეცნიერული დამუშავება არც ისე დიდი ხნის წინათ დაიწყო და ამ მიმართულებით ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ამას წინათ თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა შექსპირის კაბინეტი, რომლის მეცნიერ ხელმძღვანელია ცნობილი შექსპიროლოგი ნიკო ყიასაშვილი.

შექსპირის კაბინეტის ერთ-ერთი მიზანია შექსპიროლოგიური კვლევა-ძიების კიდევ უფრო გაფართოება, მჭიდრო კავშირის დამყარება შექსპირის პიესების დამდგმელ კოლექტივებთან, შექსპირული სამეცნიერო სემინარების მოწყობა, „ქართული შექსპირიანას“ მორიგი ტომების გამოცემა (სამი ტომი უკვე გამოიცა), თვალსაჩინო სპეციალისტების მოწვევა, მუდმივი კონტაქტის დამყარება საკავშირო და უცხოურ შექსპირულ ცენტრებთან.

ბირმინგემის უნივერსიტეტის შექსპირის ინსტიტუტის დირექტორმა, ცნობილმა შექსპიროლოგმა პროფესორმა ტერენს ჰენსერმა წერილობით მიულოცა კაბინეტის ხელმძღვანელობას შექსპირის კაბინეტის დაარსება და ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა მას. ცნობილმა მწერალმა, ლორდმა ჩარლზ სნოუმ კაბინეტს გამოუგზავნა შექსპირის თხზულებათა 1623 წლის პირველი სრული გამოცემის მთლიანი ფოტოპირები. თანამედროვე გამოჩენილი მსახიობების შესრულებით შექსპირის ყველა ნაწარმოების გრამ-ჩანაწერები შემოსწირა კაბინეტს ინგლისის პადვიჩის კოლეჯის აწ განსვენებული რექტორის პიტერ ფაისენის ოჯახმა. გერმანელმა შექსპიროლოგმა პროფესორმა რობერტ ვაიმანმა მოინახულა კაბინეტი და შემდეგ ვაიმარის სახელგადოების სახელით მოლოცვა და სპეციალური წიგნები გამოგზავნა.

ქართველმა მხატვრებმა კაბინეტს უძღვნეს შექსპირის პიესათა ილუსტრაციების დედნები. კაბინეტს აქვს შექსპირის თხზულებათა ოშვიათი ქართული, ინგლისური და სხვა ევროპული გამოცემები, ქართველ მთარგმნელთა ხელნაწერები და „ანტონიოს და კლეოპატრას“ შალვა ნუცუბიძისეული შენიშვნები. განზრახულია შეიქმნას ქართული შექსპირიანას სრული ბიბლიოგრაფია.

კიდევ ერთი პრემია

ავლტიკლიპაციური ფილმების ფესტივალზე „მამაი-70“, რომელშიც მსოფლიოს 25 ქვეყნის კინომატოგრაფისტები მონაწილეობდნენ, რუმინეთის კინომატოგრაფისტთა ერთვნული ასოციაციის სპეციალური პრემია დაიმსახურა ვახტანგ ბახტაძის ნახატმა ფილმმა „ო, მოდა, მოდა“. ეს უკვე მესამე ჯილდოა, რომელიც ქართველი რეჟისორის ამ ფილმმა მოიპოვა.

ფესტივალზე კონკურსის გარეშე აჩვენეს ვახტანგ ბახტაძის მეორე ფილმიც — „კიდევ ერთხელ მოდის შესახებ“, რომელსაც წარმატება ხვდა.

„გოია“ — ეკრანზე

ცნობილი ესპანელი მხატვრის გოიას ცხოვრება და შემოქმედება შესანიშნავად აღწერა გერმანელმა მწერალმა ლიონ ფოიხტვანგერმა რომანში „გოია, ანუ შემეცნების მძიმე გზა“. საბჭოთა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოშემქმნელები ერთობლივად ქმნიან ფილმს გოიას შესახებ, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის მსახიობებთან ერთად მონაწილეობენ ქართველი მსახიობებიც — ვერიკო არჯაფარიძე და არიადნა შენგელაია.

ქალწული

(გაგრძელება)

ღრეობის ადგილას რჩება საქეიფო ჩარდახები და უაზროდ, უოჯახოდ, უინტერესოდ დარჩენილი ნამთვრალევი ხალხი. ყველა ერთმანეთში ირევა. სვამენ ერთად, იყრებიან, ისევ ირევიან, მთვრალი პატრონების დანახვაზე ფრუტუნებენ ჭიხზე მოსული ცხენები, „დილის არაყი შეასვი, დილის არაყი“, ისმის ყოველი მხრიდან.

ამოდის მზე, შეუმჩნევლად ეკარგება ღამეს ფერი; დგება დილა სავსე, სიცხიანი, ბარაქიანი ყურძნისათვის, ნამდვილი კახური დღე, როცა მზე პირდაპირ შუაგულში აჭერს დედამიწას, წოვს ნამის ნიშანსაც კი, ოხშივარისაგან მტვრად ორთქლდება მიწა.

უცნაური მოჩვენებებით დაძრწიან გალავნის შიგნით თუ გარეთ მთვრალნი თუ ნამთვრალევნი. კოკროჭინა, პატარა კეპიანი კახელი სოფლის „სტილნები“, ფართოტოტიანი შარვლებით და ცეკვისაგან დაღლეტილი ფეხსაცმელებით გამომწვევად უყურებენ უზარმაზარ ქურჭებში გამოწვეულ ღანდებს.

გზებზე ოთხსავე მხარეს გაწოლილან ისევე ის ჩარდახიანი ურმები პატიოსანი, მშრომელი გლეხებით სავსე. მიდიან ღამისთევიდან თავიანთი სახლებისაკენ. მხოლოდ უსაქმურები, ან აქ საქმის თავისმოსაბმელად დარჩენილები, ან როლიდან ჯერ კიდევ თავდაუღწეველნი ვერ ელევიან დღეობის ნასუფრალს. ხელს ითბობენ მეზობელ სოფლიდან ღვინის გასაყიდად მოსული ჩარჩები, დიდი რაოდენობით იღვენთება მზეზე წითელი, ჯოხზე წამოცმული მამლები, ფოჩიანი კამფეტები, ადუღებული ლიმონათი და ნაირნაირი საქონელი. გაუთავებლივ, უაზროდ ჭყიპინებს დაფა-ზურნა, უშედეგოდ ცდილობს თავი მოუყაროს ყველაფერს. უმუსიკოდ ლოთობენ, ნახევრად თაროლი, ნახევრად ქართული ლაპარაკით ბღუჭუნობენ, ილოცებიან, ილანძღებიან. ეს-ეს არის უნდა მიწყდეს, მიიძინოს ღრეობამ, რომ ღამენათევებს უერთდება გამოძინებული დახლიდრებისა და შოფრების ახალი ნაკადი; განასლებული ძალით უკრავს დოლ-გარმონი, ზურნა, ჭიანური; გვერდი-გვერდ მიმდგარი რამდენიმე დასტა დამკვრელებისა დაუღალავად აცეკვებს ახალმოსულებს; ისინი შედიან გალავნის შიგნით, გალავნის უკან და ზოგი, მეტ იშტაზე მოსული, საყდარშიაც მიიწევს. საიდანღაც ჩნდებიან ნახევრადსოფლელი გოგოები, რომლებსაც ახლოს არც კი უნახავთ კაცი როგორია, აქ კი ცდილობენ „გამოსულობის“ მიზნით მიუკარებელ, ოღონდ სასიამოვნოდ კეკლუც ქალებად მოაჩვენონ ვინმეს თავი. სრული დისჰარმონიაა ბიჭისა და გოგოს ცეკვას შორის, რომელიც თითქოს ერთდება და შემდეგ ღვინო თუ მოწოლილი სიცხე ისევ თიშავს მათ, სამაგიეროდ უაზრობისაგან უფრო ხურდება ცეკვის ტრანსი და უმაღლეს წერტილზე ადის. ღამენათევები სმას განაგრძობენ და უხალისოდ, უყურადღებოდ გასცქერიან ახალმოსულ მოცეკვავეებს. ცეკვავენ დახლიდარი შოფრები, სოფლის „სტილნები“. თავისთვის ერთ მხარეს, გალავნისაკენ პირით, ჩაწყობილან შუაცეცხლანთებული ჩარდახები თუ უჩარდახო საქეიფოები, დატვირთული ხინკლებით, ცხვრის ხორცით, საქონლის თავფეხით, ერთნახადი ალალით, ორნახადი ჭაჭის არყით, გამოცლილი და სავსე ტიკებით, რომელთა უცნაურად ორგანულ დამატებას წარმოადგენენ თბილად ჩაცმული მთიელი ქრისტიანები, მაჰმადიანები, ქურჭიანები, მაზარიანები. ამ კილომეტრის სიგრძეზე გაშლილი ნატურმორტის პარალელურად, ფაფუკმტვრიანი გზის იქით, რომელსაც სულ ორი-სამი მეტრი განი აქვს, სუფევს სწორედ ის თავდავიწყებული მოძრაობა დაფა-ზურნის ქვეშ.

ორნი—ერთი მხარბეჭიანი, წვრილთავა ბიჭი, მეორე ახალგაზრდული ხალასი. შესახედაობის ასხლტილტანიანი მოხუცი, დილით დაწყებულ ცეკვა-შეჯიბრს აგრძელებენ. გათენებისთანავე გაასვსეს შაბაშით მათ ერთი დასტა, ყოველ შემოტრიალებაზე 25, 50, 100—მანეთიანებით. სამი საათი უკრავდა ტაშს მათი ცეკვის რიტმს აყოლილი გარშემოხვეული ხალხი, მერე რიტმი დაირღვა, გაცივდა ტაში, დაიშალნენ წვრილთავა ბიჭისა და ტანმაღალი მოხუცებულის მაყურებლები, ჩუმად გაიპარა დაფა-ზურნაც და სხვაგან დაიწყო დაკვრა, უარესი გახელებით განაგრძობდა ორი სრულიად გაოგნებული მოცეკვავე უაზრო ტრიალს; ერთხელ დაძრული ტემპერამენტი, ვნება არ ნელდება, დაღლილი მოთამაშენი უფრო მეტი ენერგიის მოწოლასა გრძნობენ და ტრიალებენ გაუთავებლად, იჩოქებიან, მოწყვეტით ეცემიან მუხლისთავებით შარაზე, ხტებიან შეკივლებით, შეძახილებით ამხნევებენ ერთმანეთს. მათი შეხედვისას უცნაური სიცარიელე იგრძნობა, სინანულნარევ ირონიასა და სევდას გვრის კაცს ამ ორი უშუსიკო, უმაყურებლო, გახელებული მოცეკვავის დანახვა; გრძნობ, ალავერდობა აღარ არის ალავერდობა, გრძნობ ეს რელიგიური დღეობა მხოლოდ ინერციაა, სასაცილომდე მისული ინერცია. შემზარავ სანახაობას წარმოადგენს გუშინდელი ღვინის დასასრული. ვინ წარმოიდგენდა, რომ ქრისტიანულ საყდარში კანკელის ძირას შეიძლებოდა ოდესმე გდებულიყო თავწაჭრილი მამალი და ცხვრის თავ-ფეხი. მხოლოდ აქა-იქ დაინახავთ კუთხეებში მორცხვად მიყუჟულ შავკაბიან მლოცველებს.

აღარ შველის ალავერდობას აღარაფერი, არც თბილისიდან ჩამოსული, გზაზე დასიცხული ექსკურსანტები, არც სამგზავროდ გამოწყობილი პროფესორები, რომლებიც ოდნავი ღიმილითა და პატივისცემით ათვალიერებენ ყველაფერს, მათ ერთი დღით მიუტოვებიათ დამჭანცველი მეცნიერული შრომა, რომ ამ ეგზოტიკას ეზიარონ.

თბილად ჩაცმული ქურჭიანი მთიელების მუქ ფონზე მხიარულად გამოიყურებიან მზეშე სიარულით ცხვირაქერცლილი გოგონები და ბიჭები, რომლებიც ეს არის მოსულან საბარგო მანქანით, მათ მკერდზე ტურისტის ნიშნები უკეთიათ.

ჩამოსულები საოცარი სიცხადით, გულისტკენით გრძნობენ, რომ არაფერი აკავშირებთ დამხვდურებთან. მათთვის აქ მყოფი მთვრალი ადამიანები არიან მხოლოდღა უბრალო გაგრძელება შავი ბლუზებისა, ადუღებული ლიმონათისა, ქამრებისა, უნაგირებისა, რაც ასე უხვად მოუტანიათ გასაყიდად და მყიდველებს უყურადღებოდ დაუტოვებიათ; თავის მხრივ „აქაურებიც“ ჩამოსულებს, ალბათ ჯოხზე წამოცმულ წითელ მამლებზე მეტ ყურადღებას არ აქცევენ, მათკენ მიხედვა აზრადაც არ მოსდის არც ერთ მათგანს.

უმიზნო, დაუოკებელი ვნება სუფევს გარშემო და თითქოს ყველაფერს, როგორც რეჟისორის მთავარ ჩანაფიქრს, ხაზს უსვამს ორი ნაცნობი, ოფლში გაღვრილი მოცეკვავე, დარჩენილი უმუსიკოდ და უმაყურებლოდ. უყურებს მათ ჩვენი მოთხრობის გმირი და რაღაც ცრემლებივით ებჯინება ყელში. ნუთუ ამ უთავბოლო აურზაურისა და ღრეობის საყურებლად მოვიდა აქ... სად არის ქართული ცეკვის ლაზათი, ვაჟკაცური შერკინება მოჭიდაებისა, გაფრენილი ცხენების ჯირითი? დაფიქრებული დგას. უნდა რამე გააკეთოს, შეაჯანჯღაროს ეს ხალხი. ის ნელა, უხმოდ უკრავს ტაშს ორ მოცეკვავეს, მერე წყვეტს ტაშს და ეღიმება, იმდენად უაზროა ეს ცდა.

დიდხანს დგას მზეში თავშიშველი ჭაბუკი. მის წინ ისევ ის ორი მოცეკვავე როკავს უნდილად, მოუხეშავად, მათი ცეკვა უაზრო სირბილად და ხტომად ქცეულა, ესმის მათი შეძახილები და გული ბოღმით ევსება.

უცებ რაღაც ხალისიანი და სიცოცხლისმაგვარი ესმის საიდანღაც. ფხიზლდება, ეღიმება, უცნაური სანახაობა ეშლება თვალწინ.

თეთრად ამტვერებულ შარაზე ტურისტ გოგო-ბიჭებს წრე შეუკრავთ, ტაშს უკრავენ, მღერიან ქართულ საცეკვაოს. ორი გოგონა გატაცებით უვლის წრეს. იცინიან, მთელი გულით ერთობიან. მოცეკვავე გოგონებს ალავერდში ახალმოსული კახელი ბიჭი უერთდება, ტაშს უკრავს და ამხნევებს. წრე თანდათან იზრდება, ვიღაცას მედოლე-მეგარმონე მოჰყავს.

ჩვენი გმირი გახარებულია: აი, აქ იწყება ნამდვილი გართობა, ახლა მაინც გათავდება, მიწყდება უთავბოლო ღრეობა და რელიგიური ინერცია, რაც უნებურად მაინც გამოსჭვივის აქა-იქ გაფანტულ შეზარხოშებულთა სახეებში. ეს ნამთვრალევი სახეები წამით შუქდებიან; თითქოს შორიდან მოსულმა სტუმრებმა აგრძნობინეს აქ, ალავერდში თავმოყრის ნამდვილი აზრი...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

სპორტი

მეტრეველი იმარჯვებს, მაგრამ...

● დიუსელდორფში დამთავრდა ევროპის „ბ“ ზონის ფინალური ასპარეზობა ჩოგბურთში დევისის თასზე. სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების შეხვედრაში გამარჯვების სასწორი მასპინძელთა მხარეს გადაიხარა. მართალია, ჩვენი გუნდის ლიდერმა ალექსანდრე მეტრეველმა ორივე შეხვედრა მოიგო, მაგრამ მისმა თანაგუნდელმა კოროტკოვმა ასევე ორივე შეხვედრა წააგო. საბჭოთა ჩოგბურთელები დამარცხდნენ აგრეთვე წყვილთა ასპარეზობაში. მატჩის საბოლოო ანგარიშია 3:2 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდის სასარგებლოდ.

დათმობილი პოზიციები

● ძალზე სუსტად გამოდიან წლევანდელ ასპარეზობაში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები. ახლა, როდესაც ჩემპიონატის დამთავრებამდე თითქმის აღარაფერი დარჩა, დინამოელები 10 ქულით მერვე ადგილზე იმყოფებიან.

დასანანი მარცხი

პირველი წრის უკანასკნელი მატჩი თბილისის „დინამო“ ერევანში ადგილობრივ „არარატთან“ გაბართა. ამ შეხვედრას თბილისელთათვის მეტად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მოგების შემთხვევაში ქართველი ფეხბურთელები პირველ ადგილზე მტკიცედ მკვიდრდებოდნენ.

სამწუხაროდ, ვარაუდი არ გამართლდა, თბილისელებმა ძალზე სუსტად ითამაშეს და თავიანთ კარში სამი მშრალი ბურთი გაუშვეს.

პირველი წრის უკანასკნელ მატჩში ვერც ქუთაისის „ტორპედომ“ გამოიჩინა თავი. ისინი ლენინგრადს ეწვივნენ და ადგილობრივ „ზენიტს“ შესვდნენ. მატჩის ანგარიშია 2:0 ნეგისპირელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

აი როგორ გამოიყურება „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის პირველი წრის გათამაშების ცხრილი:

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

პირველი წრის შედეგები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	16	9	4	3	23-10	22
„დინამო“ (თბ.)	16	8	5	3	22-11	21
„დინამო“ (ა.)	16	9	3	4	20-12	21
ცსკა	16	8	3	5	23-10	19
„სპარტაკი“ (მ.)	16	6	7	3	27-15	19
სკა (როსტ.)	16	5	9	2	11-7	19
„ტორპედო“ (მ.)	16	7	5	4	16-14	19
„არარატი“ (ერ.)	16	7	4	5	15-13	18
„ნევთჩი“ (ბ.)	16	5	6	5	16-12	16
„ზარია“ (ვ.)	16	5	6	5	8-14	16
„დინამო“ (მნ.)	16	4	5	7	17-18	13
„შახტიორი“ (დ.)	16	4	5	7	14-25	13
„ტორპედო“ (ქ.)	16	2	8	6	8-15	12
„ზენიტი“ (ლ.)	16	4	4	8	16-25	12
„ფახთაქორი“ (ტ.)	16	3	6	7	9-25	12
„ჩერნომორ.“ (ო.)	16	3	5	8	10-19	11
„სპარტაკი“ (ორჯ.)	16	2	5	9	16-26	9

გუნდის კაპიტანი

სახელი სლავა, გვარი მეტრეველი.

მისი ვინაობა დიდი ხანია ცნობილია ფეხბურთის სამყაროში. გულშემატკივრებმა ყველაფერი იციან მასზე. იგი სოჭში დაიბადა 1936 წელს. ორი წლისას მამას ბურთი უჩუქებია. ბიჭუნას ეზოში გაუგორებია ბურთი, ბაჯ-ბაჯით ასდევნებია და ფეხბურთის თამაშიც მაშინ დაუწყია.

თექვსმეტი წლის ყმაწვილი გორკის „ტორპედოში“ წაიყვანეს. იქ წელიწადნახევარს ითამაშა და ცნობილმა მწვრთნელმა კონსტანტინე ბესკოვმა ქართველი ჭაბუკი მოსკოვის „ტორპედოსთვის“ „მოიტაცა“.

მაშინ „ტორპედოში“ თამაშობდნენ სახელგანთქმული ფეხბურთელები ვალენტინ ივანოვი, ვალერი ვორონინი, ედუარდ სტრელცოვი. ავტოქარხნელები მალე დაწინაურდნენ. იმ წლებში საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვეს, ჩემპიონებიც გახდნენ.

მარჯვენა გარემარბის ადგილზე თამაშობდა ტანმორჩილი, მაგრამ გასაოცრად სხარტი და ენერგიული ქართველი ფეხბურთელი, რომლის ეეხის ხმას აყოლილი ტრიბუნები ხშირად გუგუნებდნენ: „სლავა, მოაწყე ცირკი“, სლავაც „აწყობდა ცირკს“. ნაპერწკლივით შევარდებოდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, წაღმა-უკუღმა ფანტავდა მცველებს და გაჰქონდა ბურთები.

მწვრთნელებს თავსატეხად ჰყავდათ გამხდარი მარჯვენა გარემარბი, რომლის ბადალი არავინ იყო საბჭოთა კავშირში და ვისაც მუდამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებთან ერთად იხსენებდნენ.

თვითონ სლავა ერთნაირი აზარტით ეთამაშებოდა ყველას, მაგრამ მშობლიურად თბილისის „დინამოს“თვლიდა და მის წინააღმდეგ, საკუთარი თქმისა არ იყოს, ყოველთვის „ნახევარი გულით თამაშობდა“.

მერე ძალუმად გამოუწია გულმა, „ტორპედო“ ვერ ელევოდა, მაგრამ იძალა და „დინამოში“ გადმოვიდა. თვითონაც ხომ გაიხარა და ქართველი ფეხბურთელები და გულშემატკივრებიც გაახარა.

გივი ჩოხელი და სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ბარქაია და ზაურ კალოევი, შოთა იამანიძე და მიხეილ მესხი — აი ამ ვარსკვლავებთან დაიწყო თამაში და უფრო მკაფიოდ გამოჩნდა მისი ოსტატობა. 1964 წელს თბილისის დინამოელებმა გადამწყვეტ შეხვედრაში სწორედ მოსკოვის „ტორპედოსთან“ ზედიზედ ოთხი ბურთი გაიტანეს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებს დაეპატრონენ.

როცა დიდი ფეხბურთი „დინამოს“ სათაყვანებელმა კაპიტანმა შოთა იამანიძემ დატოვა, მან გუნდისთავის ესტაფეტა სლავა მეტრეველს გადაულოცა.

— გუნდის კაპიტნობა ერთობ ძნელი საქმეა, — ამბობს სლავა — მოედანზე მეგობრების თამაშს თვალყურიც უნდა ადევნო, შეცდომებზე მიუთითო, დროზე მიიღო გადაწყვეტილება თამაშის უკეთ წარმართვისათვის, ამ დროს, ბუნებრივია, თვითონ ხელი გეშლება. იცოდეთ, სწორედ ამიტომ გაურბის გუნდის კაპიტნობას სახელგანთქმული პელე.

ჩვენ გუნდის იმ კაპიტნად ვიცნობთ სლავას, ხასხასა მოედანზე რომ შემოუძღვება მეგობრებს, საბრძოლველად გაანწყობს, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს და გულშემატკივრებს იმედს ჩაუნერგავს...

წლები კი რჩება სადღაც, სხვადასხვა ქვეყნისა და ქალაქის აგუგუნებულ სტადიონებზე. აგერ ოცდათოთხმეტისაა უკვე თბილისელთა კაპიტანი, მაგრამ დაღლა არ ეტყობა. თითქოს და ქვეყნის პირველობაზე 352 მატჩი არ მოეწყოს უკვე, ათეულობით ბურთი არ გაეტანოს, 50-ჯერ საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსება არ დაეცვას.

და უზომოა სიხარული გულშემატკივართა, სლავა რომ კვლავ შეუდარებელია მწვანე მინდორზე.

იქნებ თბილისის „დინამოს“ არასდროს დასჭირებია სლავას ოსტატობა და გამოცდილება ისე, როგორც წლეულს — გუნდი ქვეყნის პირველობის გათამაშების ერთ-ერთი პრეტენდენტია. თანაც თასის გათამაშების ნახევარფინალშია გასული.

—როდემდის ითამაშებ, სლავა?

— გულშემატკივრების სტვენას, ალბათ, გავასწრებ მწვანე მინდვრიდან. როდის იქნება ეს და რას გავაკეთებ შემდეგ? მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, ამაზე ფიქრიც არა მსურს. ბურთით გავზრდილვარ და ბურთით მინდა ვიცოცხლო, — ამბობს გუნდის კაპიტანი.

ლაშა გარეჯელი



სლავა მეტრეველი.

ქართული კალენდარი

აგვისტო

აგვისტო საზეიმო დღეთა სიუხვით თითქმის პირველობას იჩემებს. სწორედ აგვისტოში აღნიშნავენ თავიანთ დღეს რკინიგზელები, ფიზკულტურელები, მშენებლები, საჰაერო ფლოტის მუშაკები და მეშახტეები. თითოეულ ამ ზეიმს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მძლავრი ხმაც უერთდება.

გარდა ამ საზეიმო დღეებისა, აგვისტოს ჩვენი ცხოვრების სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენებიც უკავშირდება.

2 აგვისტო რკინიგზელთა საკავშირო დღედ არის გამოცხადებული.

5 აგვისტოს დაბადების 95 წლისთავი უსრულდება გამოჩენილ მეცნიერ-გეოგრაფს ალექსანდრე ჯავახიშვილს.

8 აგვისტოს მილოცვებს ჩვენი ფიზკულტურელები მიიღებენ — ეს დღე ფიზკულტურელთა საკავშირო დღეა.

9 აგვისტოს ჩვენი ქვეყნის მშენებლები გადაიხდიან ზეიმს.

8 და **9** აგვისტოს რესპუბლიკის ცხოვრებაში კიდევ ორი მნიშვნელოვანი მოვლენა აღინიშნება. 65 წლის წინათ, 1905 წლის 8 აგვისტოს გორისა და დუშეთის მაზრებში გლეხთა გამოსვლები დაიწყო, ხოლო 55 წლის წინათ, 1915 წლის 9 აგვისტოს გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა.

11 აგვისტო. დიდ ქართველ მათემატიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს ანდრია რაზმაძეს დაბადების 80 წელი უსრულდება.

12 აგვისტო. დაბადების 75 წლისთავი უსრულდება გამოჩენილ ქართველ მოქანდაკეს სილოვან კაკაბაძეს.

13 აგვისტო. 90 წლის წინათ დაიბადა ცნობილი ქართველი რევოლუციონერი გიორგი თელია.

14 აგვისტო. 1900 წლის ამ დღეს დაიწყო თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშების პოლიტიკური გაფიცვა, რომელმაც 15 დღეს გასტანა.

16 აგვისტო. ეს დღე სამუდამოდ შევიდა ჰაითურის ისტორიაში. ზუსტად 40 წლის წინათ „შავი ოქროს“ საბადოთა ცენტრი ქალაქად მოინათლა.

18 აგვისტო. ეს დღე საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა.

19 აგვისტო. 70 წლის წინათ დაიბადა ბორის ძნელაძე, კომკავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში.

21 აგვისტოს დაბადების 85 წლისთავი სრულდება შესანიშნავი ქართველი მწერლის, კრიტიკოსისა და მთარგმნელის. მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის, გერონტი ქიქოძის დაბადებიდან.

25 აგვისტო. 50 წლის წინათ, 1920 წლის 25 აგვისტოს, თბილისში გაიხსნა საქართველოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველი ლეგარული ყრილობა.

30 აგვისტო. ეს დღე ჩვენს ქვეყანაში მეშახტეთა ზეიმის დღედ არის გამოცხადებული.




საზღვარგარეთელი დამსვენებლები ბიჭვინთაში.

მხატვრის ღიმილი

ერთდროული სეანსი...

გიგლა ფირცხალავას ნახატი-იუმორი



ქართული სამზარეულო

ჩასაცივებული ბადრიჯანი

ქანიანი პატარა-პატარა ზომის მოგრძო ბადრიჯანი (ერთი კილოგრამი) სიგრძეზე გასერეთ დანით ისე, რომ ერთმანეთს არ მოშორდეს, მოაყარეთ მარილი, დაადგარეთ ხუფი, გააჩერეთ ორ საათს, შემდეგ გაწურეთ, მოათავსეთ საჭმელ ზეთიან ცხელ ტაფაზე და შეწვით ყოველი მხრიდან. ოთხი თავი წვრილად დაჭრილი ხახვი მოხრაკეთ საჭმელ ზეთიან ტაფაზე, ორი ჩაის ჭიქა ნიგოზი, ერთი ძირი ჭინძი, ორი კბილი ნიორი, გემოვნებით წიწაკა და მარილი დანაყეთ ერთად და ალესეთ ღვინის ძმარში. შემდეგ შეურიეთ მოხრაკული ხახვი. მიღებული ნიგვზიანი მოსქო მასალით ამოავსეთ შემწვარი ბადრიჯნის თავისუფალი სივრცე და მიეცით ბადრიჯანს მთლიანი სახე. მზა ბადრიჯანი მოათავსეთ ლანგარზე, დაასხით დარჩენილი ნიგვზიანი მასალის თხიერი ნაწილი.

ელარჯი

ორი ჩაის ჭიქა სიმინდის ღერღილს დაასხით ათი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი, დადგით ცეცხლზე და მორევით სარწყე, სანამ ღერღილი კარგად არ ჩაიხარშება (ადუღებიდან დაახლოებით 70-80 წუთი). შემდეგ თანდათანობით დაუმატეთ ერთი ჩაის ჭიქა სიმინდის ფქვილი და თან სუთით ურიეთ, ჩაზილეთ და მორევით შუშეთ ნელ ცეცხლზე 30-40 წუთს. ამის შემდეგ ქვაბი გადმოდგით ცეცხლიდან, ჩაყარეთ შიგ დაფხვნილი ან თხელ ნაჭრებად დაჭრილი ერთი კილოგრამი ოდნავ მარილიანი იმერული ყველი (შეიძლება სულგუნი და „ბრინზა“ ყველიც), სუთით კარგად ჩაზილეთ და დადგით ნელ ცეცხლზე. როცა ყველი ჩაიხარშება, ელარჯი მზად იქნება.

...რომ ხელმეორედ ნახო“

ნლეულს ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტი იან ვარტა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან დაწერა ნარკვევი საქართველოზე, რომელშიც აღწერა სტუმრად ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებანი. ამ ნარკვევს, რომელიც „რუდე პრავოს“ საკვირაო დამატება ყოველკვირეულ „გალა საბოტაში“ გამოქვეყნდა, „კეთილი მჰარე“ ჰქვია. მისი თითოეული სტრიქონი გამსჭვალულია თბილი, მეგობრული გრძნობებით ჩვენი სამშობლოსადმი. ავტორი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს ჩვენს ხალხს, ჩვენს საოცარ ბუნებას, რესპუბლიკის წარმატებებს ცოდნის სხვადასხვა დარგში.

იან ვარტა წერს, რომ იმ დროს, როცა პრაღასა და მოსკოვში ყინავა ბობოქრობდა, საქართველოში მაგნოლია და ხუმბული ყვაოდა. მაგრამ გაზაფხულთან მოულოდნელად შეხვედრას რომ ალუძრავს მის გულში თბილი გრძნობები. ეს გრძნობები გამოიწვიეს ადამიანებმა, ვისაც იგი ხვდებოდა, ესაუბრებოდა და ვისთანაც ერთად ესალმებოდა ყოველი ახალი დღის დაბადებას.

— ის პატივისცემა ადამიანებისადმი, რომელთაც „არაოფიციალურად“ ვხვდებოდი, — წერს ავტორი, ღრმად გამეზარდა „ოფიციალური“ შეხვედრისას, რომელიც გიორგი ათონელის ქუჩაზე, № 25-ში მდებარე სახლში გაიმართა. უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების სახლში შეკრებილთა შორის ბევრი იყო ისეთი, ვინც კარგად იცნობს ჩეხოსლოვაკიას: ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების წამყვანი მოღვაწენი, ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობის მონაწილენი. მათ გაიხსენეს ჩვენს ქვეყანაში სტუმრობა, ოსტრავა, გრაძა-კრალოვი, პრაღა, შეხვედრები გუსტა ფუჩიკთან.

ძნელია არ აღელდე, წერს შემდეგ იან ვარტა, როცა გაიგებ, რა სიყვარულით იგონებენ აქ ჩეხ მუსიკოს რატილს, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. განა შეიძლება არ გაიხარო, როცა გაიგებ, რომ თბილისის უნივერსიტეტი გამოსცემს ჩეხური ენის სახელმძღვანელოს და რომ აქ ბევრი სწავლობს ჩეხურ ენას.

თუ ჩვენ მეტ კონტაქტს დავამყარებთ, უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს, ნათქვამია შემდეგ ნარკვევში, მაშინ უკეთ შევძლებთ დავფასოთ თელაველი კოლმეურნეების მისწრაფება, რომლებიც ალაზნის სარწყავი სისტემის დახმარებით ხრიოკ მიწას აუვავებულ ბაღებად აქცევენ, რუსთაველი მეფოლადეების მიზანს, უკეთ მოაწყონ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქი... დასასრულ იან ვარტა წერს: „არსებობს გამოთქმა: ნახე ნეაპოლი და მოკვდიო. მე სხვანაირად ვიტყოდი: სჯობს იცოცხლო, რომ საქართველო ხელმეორედ ნახო.“

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

დაგეძებენ, მოგელიან

ვახტანგ შერმადინის ძე დოლიძეს,

დაბადებულს 1919 წელს მახარაძის რაიონის სოფელ თხინვალში, ეძებენ მამა — **შერმადინი,** ძმა — **დუნიკო,** და — **ლიზა დოლიძეები,** მცხოვრებნი ქალაქ მახარაძეში, ბათუმის ქუჩა № 73.

ძმებს — დავით და ლადო გიორგის ძე ჯანელიძეებს,

დაბადებულს 1906 და 1908 წლებში მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როხში. ეძებენ შვილები — **სოსო, ვანო, დუხუნა დავითის ძე, რაისა ლადოს ასული, ამირან, ავთო ლადოს ძე ჯანელიძეები,** მცხოვრებნი მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როხში.

სოსო ივანეს ძე ელისაშვილს,

დაბადებულს 1918 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში. ეძებენ დედა — **ანა,** მამა — **შაქრო,** მეუღლე — **თამარი,** შვილი — **ბადრი,** შვილიშვილები — **სოსო, ზაზა, გოგი თემურის ძე მათიაშვილები,** მცხოვრებნი ქალაქ სიღნაღში, სარაჯიშვილის ქუჩა № 22.

ივანე (ვანო) სოლომონის ძე გუკიას,

დაბადებულს 1918 წელს გალში, ეძებს და — **ლოლა ბუკია,** მცხოვრები ქალაქ გალში, ლენინის ქუჩა № 119.

გიორგი ვასილის ძე თოიძეს,

დაბადებულს 1923 წელს თბილისში, ეძებს დედა — **თამარ გიორგის ასული კვესაძე-კაზაროვა,** მცხოვრები თბილისში, საბჭოს ქუჩა № 14.

შალვა გრიგოლის ძე გვაძაბიას,

დაბადებულს 1921 წელს ქალაქ ცხაკაიაში, ეძებენ და — **ნუნუ,** ძმა — **გრიგოლ გვაძაბიები,** მცხოვრებნი ქალაქ ცხაკაიაში, რუსთაველის ქუჩა № 345.

პალადი ეპიფანეს ძე გოგუაძეს,

დაბადებულს 1908 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათში, ეძებენ დები — **ქეთო და ზოია გოგუაძები,** მცხოვრებნი ქალაქ ბათუმში, გორკის ქუჩა № 34, II სადარბაზო, ბინა № 19.

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.